

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N016/15¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ლილი ნოდია (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატი, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ურჩევს მას გარკვეული მოქმედებების შესრულებას, კლიენტი არ ასრულებს მას. შეუძლია თუ არა ადვოკატს შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა? თუ შეუძლია რა პირობების დაცვით? კლიენტი არ დარჩება დაცვის უფლების გარეშე.

ანალიზი

აპეკ-ის 8.7 მუხლის თანახმად, ადვოკატი უფლებამოსილია ცალმხრივად უარი თქვას საქმის წარმოებაზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში მან უნდა გაითვალისწინოს შემეგი პირობა: 1) კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; 2) კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; 3) ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება. სამივე კომპონენტი კლიენტის ინტერესების უპირატესობითაა გაჯერებული და ადვოკატს პირდაპირ ბოჭავს საქმეზე უარის თქმის დროს ასეთი ნების ცალმხრივად გამოვლენისას. ადვოკატის მიერ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია პოზიციათა უთანხმოება - კლიენტი არ ითვალისწინებს ადვოკატის რჩევას და არ მოქმედებს მის შესაბამისად. ეს რჩევა, შეკითხვის მიხედვით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობს. შეკითხვაში მოცემული ფაქტობის მიხედვით, კლიენტი არ დარჩება დაცვის უფლების გარეშე და მას არ ადგება ზიანი, რადგან, სავარაუდოდ აქვს საკმარისი დრო სხვა ადვოკატთან დასაკავშირებლად, ასევე, მან იცის რა მოქმედება და როგორ უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ პროცესი მის სასარგებლოდ დასრულდეს. აპეკ-ის 8.15 მუხლის თანახმად, ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ადვოკატმა „კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.“ ადვოკატს უფლება აქვს კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოქვითოს გამომუშავებული გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

დასკვნა

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობს პოზიციათა შეუთანხმებლობა, რაც გამოიხატა კლიენტის არაერთგზისი ქმედებით, რის გამოც ვერ ხერხდება საქმის მის სასარგებლოდ დასრულება, ადვოკატს, სავარაუდოდ შეუძლია, თანმდევი ვალდებულებების დაცვით, შეწყვიტოს კლიენტთან სამართლებრივი ურთიერთობა.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91e5b8b7cd7.pdf/18%20September%202015%20016.15.pdf>